ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის
სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის
განყოფილების მიერ მომზადებული

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელებული საქმიანობის 2022 წლის ანგარიში

2023 წელი

გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი საკითხები მუნიციპალურ დონეზე

სარჩევი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზოგადი გეოგრაფიული მონაცემები 2
შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტები 5
აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულთა სტატისტიკა 6
გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის სქემა 7

მუნიციპალური პროგრამები/სერვისები გენდერულ ჭრილში

სოციალური დაცვა და გენდერული თანასწორობა 8
ჯანმრთელობის დაცვა 10
ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა 12

ინფრასტრუქტურა 14

განათლება 15
ახალგაზრდული საკითები 17
სპორტი 18
60+ 20

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა

ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები / სერვისები 22
მომართვიანობის სტატისტიკა 23
უწყებათაშორისი კომისია 24
16 დღიანი კამპანია 25

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი 27

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 1325-ის ლოკალიზაცია 30

მოქალაქეთა ჩართულობა 32

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 32

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა 34

მერიის თანადაფინანსებული პროექტები გენდერულ ჭრილში 34
ტრენინგები 35

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზოგადი გენდერული სტატისტიკა 37

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტრატეგია/სამოქმედო გეგმა 38

წარმატებული პრაქტიკა-მიღებული ჯილდოები 40

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი



ადმინისტრაციული ცენტრი: ზუგდიდი

ადმინისტრაციული ერთეული: 53

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის: 339 კმ

რეგისტრირებული მოსახლეობა: 105 509

კომლთა რაოდენობა: 31 319

ქალაქის მოსახლეობა - 42 998

სოფლების მოსახლეობა - 62 511

ფართობი: 692 კმ^2






ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის განაწილება
გენდერულ ჭრილში
2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით
39.2%
ქალაქი ზუგდიდი
19746
57.9%
ზუგდიდის მუნიციპ.
31951
47.7%
კაცი
50306
105509
52.3%
ქალი
55203
60.8%
ზუგდიდის მუნიციპ.
30560
42.1%
ქალაქი ზუგდიდი
23252
ქალი
კაცი

გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია. გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი ცხოვრებისეული შანსები და პირობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და კაცის იგივეობას, პირიქით - დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი, მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.
ის მიზნად ისახავს ქალების და კაცების საზოგადოებაში სრული მონაწილეობის წახალისებას.
ისევე როგორც ადამიანის უფლებებისათვის, გენდერული თანასწორობისათვისაც საჭიროა მუდმივი ბრძოლა, დაცვა და მხარდაჭერა.

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობა?

მხედველობაში მიიღება, როგორც ქალის, ისე კაცის ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები, ქალების და კაცების ჯგუფის განსხვავებულობის აღიარებით. გენდერული თანასწორობა ქალის საკითხი არაა - ის სრულად ეხება კაცებს, ისევე როგორც ქალებს. ქალის და კაცის თანასწორობა, ადამიანის უფლებაც არის და ხალხზე ორიენტირებული **მდგრადი განვითარების** წინაპირობა და ინდიკატორიც.

მდგრადი განვითარების მიზნები

გენდერული თანასწორობა

მდგრადი განვითარების მიზნები (საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნების ერთობლიობა) წარმოადგენს გლობალურ მოწოდებას მოქმედებისკენ, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის აღმოფხვრას, დედამიწის გარემოსა და კლიმატის დაცვას და მსოფლიოში ყველა ადამიანისთვის მშვიდობისა და კეთილდღეობის მოპოვებას.

მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება.

5 GENDER EQUALITY

თვითმმართველობის როლი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა არის საჯარო ხელისუფლების, როგორც სახელმწიფოს, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მიმართულება, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და კაცის თანასწორი უფლება–მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და თანასწორუფლებიანი მონაწილეობის დამკვიდრება.

ამასთან, გენდერული თანასწორობა არის არა მხოლოდ უფლება და ამ უფლების საკანონმდებლო აღიარება, არამედ რეალური შესაძლებლობა. ქალსა და კაცს უნდა გააჩნდეს თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის.

ადგილობრივ დონეზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა გენდერული თანასწორობის მიმართულებით სტატისტიკისა და განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის ფორმა, რომელიც იწარმოება 2020 წლიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტები

„ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018 წლის სამოქმედო გეგმა“

„ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“

„ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლების ლოკალიზაციის „საგზაო რუქა“

2021 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ - ფარგლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“

ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2022-2025 წლების სტრატეგიული გეგმა

2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ - ფარგლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მიერ გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები და გენდერული სტატისტიკა - 2020წ; 2021წ; 2022წ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულთა 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში

თანამდებობა	სულ	კაცი	ქალი	კაცის საშ. ასაკი	ქალის საშ. ასაკი
პოლიტიკური თანამდებობის პირი	15	12	3	45	39
აპარატის უფროსი	1	0	1	0	51
განყოფილების უფროსი	5	3	2	39	49
III რანგის I კატეგორია	16	4	14	53	43
III რანგის II კატეგორია	4	0	4	0	41
III რანგის III კატეგორია	2	0	2	0	44
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული	0	0	0	0	0
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული	7	4	3	31	41
მათ შორის					
დევნილი	4	1	3	47	47
ვეტერანი	0	0	0	0	0
მარტოხელა ქალი	0	0	0	0	0
საშუალო განათლება	1	1	0	24	0
ჯამი	50	27	23		
		54%	46%		

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთა 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში

თანამდებობა	სულ	კაცი	ქალი	კაცის საშ. ასაკი	ქალის საშ. ასაკი
პოლიტიკური თანამდებობის პირი	4	4	0	40	-
სამსახურის უფროსი	9	7	2	48	45
სამსახურის უფროსის მოადგილე	15	11	4	52	56
განყოფილების უფროსი	32	20	12	48	46
III რანგის I კატეგორია	119	46	73	51	46
III რანგის II კატეგორია	20	6	14	38	49
III რანგის III კატეგორია	4	1	3	28	47
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული	87	67	20	49	40
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული	14	9	5	50	35
მათ შორის					
დევნილი	24	11	13	-	-
ვეტერანი	4	4	_	-	-
მარტოხელა ქალი	1	-	1	-	54
საშუალო განათლება	4	1	3		
ჯამი	304	171	133		
		56%	44%		

საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2018 წელს შეიქმნა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო; 2019 წლის სექტემბერში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილებას დაემატა გენდერული თანასწორობის საკითხების ხელშეწყობის ფუნქცია. შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილებები სამსახურის დებულებაში და გადანაწილდა ფუნქციები განყოფილების თანამშრომლებს შორის. ამასთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, დაინიშნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მორგებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურის მუნიციპალური პროგრამები. შემუშავდა და დაინერგა ახალი მიმართულებები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია პირველია, რომელმაც ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, შექმნა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია; ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფები; დაინერგა ქალთა ოთახის სერვისი; გააქტიურდა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

დაგროვილი გამოცდილებით, მუნიციპალური პროგრამების ამოქმედებით და აღნიშნული მექანიზმების დანერგვით ჩამოყალიბდა **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის სქემა:**



სოციალური დაცვა და გენდერული თანასწორობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის 14 პროგრამის 50ზე მეტ ქვეპროგრამასა და მომსახურებას. აღსანიშნავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საავტორო პროექტები: **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა**, რომელიც ითვალისწინებს უსახლკარო ოჯახებისათვის ინდივიდუალური კაპიტალური სახლების მშენებლობას ან დაზიანებული სახლის სარეაბილიტაციო მომსახურებას; **ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი**, რომელიც მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისს, ადაპტირებული მიკროავტობუსით; **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდამჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება,** რომლის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი ინიციატივები სხვადასხვა საჭიროების მქონე მოწყვლადი ოჯახებისთვის/ჯგუფებისთვის; **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერა**, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის უსასყიდლოდ გაზიფიკაციის პროგრამას და სხვა.

თითოეული სოციალური დაცვის პროგრამა/ქვეპროგრამა არის გენდერულად მგრძნობიარე, მორგებულია დედათა და ბავშვთა საჭიროებებზე, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

პროგრამების დასახელება	2022 წ. ხარჯი	მიმღებთა რაოდენობა	სქესი		პროცენტული მაჩვენებელი	
			მდ	მამრ	მდ	მამრ
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	271369,91	693	416	277	60,03%	39,97%
ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა	42122,00	35	10	25	28,57%	71,43%
გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება	104300,00	296	230	66	77,70%	22,30%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	237100,00	718	357	361	49,72%	50,28%
მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვა	58600,00	293	141	152	48,12%	51,88%
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	21025,06	159	125	34	78,62%	21,38%
საღამოსასწავლო ღონეების დახმარება	90330,00	500	361	139	72,20%	27,80%
ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსება	89319,20	125	47	78	37,60%	62,40%
სხვადასხვა მიზეზით უსახლკარო დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობა	202800,00	184	116	68	63,04%	36,96%
დევნილთა მხარდაჭერა	38500,00	385	120	265	31,17%	68,83%
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება	313275,00	1326	585	741	44,12%	55,88%
სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	31814,75	247	148	99	59,92%	40,08%
პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში"	13584,35	29	24	5	82,76%	17,24%
უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	178497,08	38	22	16	57,89%	42,11%
ჯამი:	**1692637,35**	**5028**	**2702**	**2326**	**51,20%**	**48,80%**

2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის პროგრამებით ისარგებლა

5028 მოქალაქემ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამების გამჭვირვალედ და ეფექტურად განსახორციელებლად შექმნილია სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე 5 სხვადასხვა კომისია



2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალური ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე გაიხარჯა

1692637,35 ლარი

ბოლო 10 წლის მონაცემებით სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური ბიუჯეტი 6,7-ჯერ გაიზარდა;

2012წ - 646 000 ლარი
2022წ - 4 330 000 ლარი

ჯანმრთელობის დაცვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: პროფილაქტიკა/პრევენცია, ჯანმრთელობის ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ზუგდიდი მუნიციპალიტეტი პირველია, სადაც ინიცირებულ იქნა: პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, კოხლეარული იმპლანტის მქონე 18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატით/პროცესორითა და იმპლანტის დამხამრე საშუალებებით უზრუნველყოფა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია და სხვა.

აღსანიშნავია პრევენციული მიმართულების ქალთა ჯანმრთელობის ხლშეწყობის ქვეპროგრამა - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა/სკრინინგი, რომლის მიზანია 25-70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალების დროული დიაგნოსტირება და დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში 2020 წლიდან დღემდე ისარგებლა 3520-მა ქალმა.

პროგრამების დასახელება	2022 წ. ხარჯი	მიმღებთა რაოდენობა	სქესი		პროცენტული მაჩვენებელი	
			მდ	მამრ	მდ	მამრ
ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება	290752,81	1821	1042	779	57,20%	42,80%
ძვირადღირებული გამოკვლევების (კტ, მ-რტ, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება	168438,88	680	387	293	56,90%	43,10%
სტაციონარული სამედ. მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება	412669,25	604	381	223	63,10%	36,90%
სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე პირებისთვის	89372	245	78	167	31,80%	68,20%
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია	407484	105	19	86	18,10%	81,90%
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსება	1198	6	3	3	50,00%	50,00%
კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის სმენადაქვეითებული ნაოპერაციები 0-18 წლამდე ასაკის სასმენი აპარატის/პროცესორის თანადაფინანსება	15000	1	0	1	_	100,00%
პალიატური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედ.აღჭურვილობის, ერთჯერადი სახარჯი მასალისა და მოვლის საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა	11299,36	10	4	6	40,00%	60,00%
ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა	56656	1539	1539	0	100,00%	_
იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია და მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა	50946,82	12	7	5	58,30%	41,70%
18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება	2800	8	3	5	37,50%	62,50%
პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიის თანადაფინანსება	14678,6	15	9	6	60,00%	40,00%
ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოპაციენტების ფინანსური მხარდაჭერა	69000	345	285	60	82,60%	17,40%
ჯამი	**1590295,72**	**5391**	**3757**	**1634**	**69,70%**	**30,30%**

ჯანმრთელობის
დაცვის სამინისტროში
მოქალაქეთა სამედიცინო
მომსახურების
დაფინანსების მიზნით,
გაწეულია 500ზე მეტი
შუამდგომლობა

2022 წელს ჯანმრთელობის
დაცვის პროგრამებით
ისარგებლა
5391 მოქალაქემ
გაიხარჯა
1590295,72 ლარი



ფარისებრი
ჯირკვლის
კიბოს ადრეული
გამოვლენის
პროგრამა
2022 წელს
დაუფინანსდა
1539 ქალს

ჯანმრთელობის
დაცვის განყოფილების
ქვეპროგრამების
ეფექტურად
განხორციელების მიზნით,
შექმნილია სპეციალური
კომისია

ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა

პროგრამების დასახელება	2022 წ. ხარჯი	მიმღებთა რაოდენობა	სქესი		პროცენტული მაჩვენებელი	
			მდ	მამრ	მდ	მამრ
სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	13450	50 ბავშვი	26	24	52,00%	48,00%
ბავშვთა საერთაშორისო დღის ან სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	2414	გასართობი ღონისძიებები მოწყვლადი ბავშვებისთვის				
სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	16368	13 ბავშვი	7	6	53,80%	46,20%
ჯამი	**32232**	**63**	**33**	**30**	**52,40%**	**47,60%**

2020 წლის 1 სექტემბრიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები. ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ ინტენსიურად ხორციელდება ვიზიტები სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ოჯახებში. განხილულია და დასრულებულია 34 ქეისი.

2022 წლის ზუგდიდის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი, ხოლო 2023 წელს დაფინანსება იზრდება 20 000 (ოცი ათასი) ლარით და შეადგენს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარს.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), ასევე 17 აგვისტოს ანაკლიის აკვაპარკში 40 ბავშვისთვის მოეწყო გასართობი ღონისძიება.

გარდა მუნიციპალური პროგრამებისა, განყოფილება აქტიურად არის ჩართული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან. 2022 წელის მონაცემებით მოცულია 20 სკოლა, 700-ზე მეტ ბავშვს მიეწოდა ინფორმაცია განყოფილების საქმიანობაზე, ბავშვის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ადრეულ ქორწინებაზე, აგრეთვე, ძალადობის ფორმებზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზე. განყოფილება აქტიურად მუშაობს ოჯახების გაძლიერების საკითხებზე. ასევე, აქტიურად ხორციელდება რეფერირება, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში დამატებითი რესურსების მობილიზების მიზნით.

2022 წელს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მერიის სხვა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო საჭიროებათა კვლევაში, რომელიც განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ერთობლივი პროექტის - ,,საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვებზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“ ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის ძირითად შემადგენლობაში იყვნენ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლები, ასევე სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის საბოლოო ანგარიში წარედგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს. შედეგად, კი მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ ინიცირებულ იქნა ახალი ქვეპროგრამები, რომელიც აისახა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში. კერძოდ:

- ბავშვზე მორგებულ პროგრამებს დაემატა ინგლისური ენის კურსების დაფინანსება სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-მდე) ბავშვებისთვის მრავალშვილიანი ოჯახებიდან;
- დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია მშობლობის უნარების გაძლიერების მიმართულებით;
- კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი ბავშვებისთვის დაიწყო სასმენი აპარატის/ პროცესორის დამხმარე საშუალებების დაფინანსება.

ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება პროექტის - ,,საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვებზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“ ფარგლებში ჩაერთო საჭიროებათა კვლევაში

2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე გაიხარჯა

32232 ლარი



2022 წელს ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებით ისარგებლა 63-მა ბავშვმა

ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მუნიციპალური პროგრამების გარდა, ცნობიერების ამაღლების მიზნით ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს. ამ ეტაპზე მოცულია 20 სკოლა 700-ზე მეტი ბავშვი

ინფრასტრუქტურა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განვითარებისა და ინფრასტრუქტურის პროექტები აქტიურად მიმდინარეობს, ეტაპობრივად ხდება, როგორც განახლება/რეაბილიტაციის, ასევე, ახალი პროექტების განხორციელება.

2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 134 მსხვილი და მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან გახარჯულ იქნა 20 564 450 ლარი.

სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში კაპიტალურად რეაბილიტირებულ იქნა 14 კმ-მდე საავტომობილო გზა, განხორციელდა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის შვიდი პროექტი - მოეწყო 4580 გრძ/მ სანიაღვრე არხი. განხორციელდა წყალმომარაგების 3 პროექტი - მოეწყო 25 000 გრძ/მ წყალმომარაგების ქსელი (350 ოჯახი).

განხორციელდა სამი საჯარო სკოლის და სამი საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, დაიწყო ოთხი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. კეთილმოეწყო შვიდი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზო. მოეწყო 5 მინი სპორტული მოედანი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო გარე განათების ახალი ქსელი, 11 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა სკვერების კეთილმოწყობა, აშენდა 4 მოსაცდელი და 5 წისქვილი, რეაბილიტირებულ იქნა 4 ხიდ-ბოგირი, მოეწყო 8 ჭაბურღილი.

აღიარებულია, რომ კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული საკითხები ფუნდამენტურია მდგარდი განვითარების მიზნების შესრულებისთვის.

ისეთი პროექტები, როგორიცაა საავტომობიულო გზა, გარე განათება, მოსაცდელები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის უფლებების დაცვას, მათ შორის ხელმისაწვდომობას განათლებაზე, ჯანდაცვაზე, წყალზე და სანიტარულ უსაფრთხოებაზე, მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე; ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.



განათლება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების განყოფილება ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების მუნიციპალურ პროგრამებს.

განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების (ამჟამად ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის) ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს დაფინანსებულ მოქალაქეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, ქვეპროგრამების მიხედვით:

2022-2023 სასწავლო წელს მერის სტიპენდია დაენიშნა 84 სტუდენტს

2022 წელს ზუგდიდის საჯარო სკოლა მედალზე (ოქრო, ვერცხლი) დაამთავრა 161-მა მოსწავლემ

ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა გაეწია 45 ახალგაზრდას

საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ფარგლებში პედაგოგთა კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 53-მა პირმა

მასწავლებელთა დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა 51 მასწავლებელი

ესეების კონკურსებსა და სასწავლო ოლიმპიადებში გაიმარჯვა 36-მა მოსწავლემ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელ საალმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაშია

63 ს/ბაღი
აღსაზრდელთა რაოდენობაა 3467
მათ შორის:



100%

63-ვე ს/ბაღის გამგე ყველა ქალია

100%

საალმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი ს/ბაღებში დასაქმებული აღმზრდელი, შემცვლელ მასწავლებელი, მუსიკის მასწავლებელი და ტექ.პერსონალი ყველა ქალია



საჯარო სკოლებში

კერძო სკოლებში

მოსწავლეთა რაოდენობა



15393 მოსწავლე



მასწავლებელთა რაოდენობა



1571 მასწავლებელი



დირექტორთა რაოდენობა



57 დირექტორი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში

საგანმანათლებლო დაწესებულება	სტუდენტების რაოდენობა	გოგო	ბიჭი	დევნილი	პროფესორ მასწავლებელი	ქალი	კაცი
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	931	505	426	389	290	162	128
შოთა მესხიას უნივერსიტეტთან არსებული პროფესიული პროგრამების განვითარების დეპარტამენტი	353	201	152	145	41	28	13
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ზუგდიდის აკადემია"	99	99	0	13	30	27	3
კოლეჯი "ცხუმ-ეგრისი"	79	53	26	18	50	40	10
ჯამი	**1462**	**858**	**604**	**565**	**411**	**257**	**154**

ახალგაზრდული საკითხები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მიერ ხორციელდება პროგრამა - **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების/ თანადაფინანსება**, რომლის ფარგლებში 2022 წელს დაფინანსდა 6 პროექტი, რომელშიც მონაწილობა მიიღო 40-მა გოგომ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით განხორციელდა პროექტი **„იყავი მზად, გახდი სკაუტი!“**, რომელიც მოიცავს შემდეგი უნარების განვითარებას: თვითგადარჩენა, ლიდერობა, გუნდურობა, პიონერინგი, (საზღვაო კვანძების შესწავლა) პირველადი დახმარება, მოლაშქრეობა. ჯამში პროექტში მონაწილეობა მიიღო 60მდე გოგომ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი სპორტსმენების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ზუგდიდის ჭიდაობის სასპორტო სკოლის ძიუდოისტი გოგო.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი იდეათონი ,,**შენი იდეა მომავლის ზუგდიდს**". წარმოდგენილი იყო 12 განაცხადი, აქედან 7 პროექტის ინიციატორები იყვნენ გოგოები.

2021 წლის 28 ივნისს შეიქმნა, "ზუგდიდის ახალგაზრდული სათათბირო". თავდაპირველად, სათათბირო დაკომპლექტდა 12 ლიდერი ახალგაზრდით. სადღეისოდ, სათათბიროს ძირითად გუნდში გაწევრიანებულია 80-მდე ახალგაზრდა.

ახალგაზრდული სათათბიროს მიზანია- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა; სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების/ შეხვედრების ორგანიზებისა და პროექტების განხორციელების პროცესში მათი ინტერესების გათვალისწინება; ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საჭიროებებსა და კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შექმნა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის მიწოდება.

2022 წელს ახალგაზრდულმა სათათბირომ სხვადასხვა თემატური მიმართულების 140 აქტივობა განახორციელა. აქედან 15 აქტივობა განხორციელდა, კონკრეტულად, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელთა მიზანი იყო ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლება და მათი ჩართულობის მოტივაცია, წარმატებული ქალების ისტორიების გაზიარება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალ-გაზრდული სათათბიროს საქმიანობას განთავ-სებულია სოციალურ ქსელში:

www.facebook.com/yczugdidi.ge

ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს გენდერული სტატისტიკა (გოგონების მიღწევები)

ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში“, 4 სასპორტო სკოლა ფუნქციონირებს. სპორტულ სექციებში 2022 წლის მონაცემებით ჯამში ირიცხებოდა 1734 6 -18 წლამდე მოზარდი, ხოლო მწვრთნელებიდან 2 ქალი. სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენების კუთხით, მოვარჯიშე სპორტსმენების თანაფარდობა შეადგენს - 83% ბიჭი 17%გოგო. ზუგდიდელმა სპორტსმენებმა 2022 წელს 60-მდე ადგილობრივ და გასვლით სპორტულ აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის - 84% ბიჭი 16%გოგო.

სასპორტო სკოლები:	სპორტსმენი	ვაჟი	გოგო
კომპლექსური სასპორტო სკოლა	731	544	187
საჭადრაკო სასპორტო სკოლა	367	269	98
საბრძოლო ხელოვნებათა სასპორტო სკოლა	343	335	8
ჰიდაობის სასპორტო სკოლა	293	288	5
ჯამი	**1734**	**1449**	**285**

2022 წლის სპორტსმენი გოგოების შედეგები:

თათია ბუკია - ევროპის ჩემპიონატის მე-2 ადგილი კრივში (ვერცხლის მედალი)

თამარ სამელია - ევროპის ჩემპიონატის მე-3 ადგილი კრივში (ბრინჯაოს მედალი)

ნანა ფიფია
ევროპის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის კრივში (ოქროს მედალი)

ნათია გაჯელია
საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ნაკრების წევრი

ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლის მფლობელი 2022 წლის ოქტომბერი, აღბანეთი

2022 წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ:

1. ელენე ღიპარტია - საქართველოს ჩემპიონი ძალოსნობაში
2. რამინდა თოლორავა - საქართველოს ჩემპიონი კრივში
3. მარიამ კვარაცხელია - საქართველოს ჩემპიონი კრივში
4. მარიამ ქირია - საქართველოს ჩემპიონი კრივში
5. ნანა ცხვიტავა - საქართველოს ჩემპიონი კრივში
6. თათია ბუკია - საქართველოს ჩემპიონი კრივში
7. თამარ სამელია - საქართველოს ჩემპიონი კრივში
8. მარიტა გაგუა - საქართველოს ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში
9. ბელა ჭკადუა - საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში
10. ანანო მორგოშია - საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში
11. სალომე ქაქუთია - საქართველოს ჩემპიონი შოტოკან კარატე დო - ში
12. მაია ფიფია - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი შოტოკან კარატე დო - ში
13. ნინი ხარგელია - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში
14. ანანო ქაჯაია - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში
15. ნინო თოდუა - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში
16. ბარბარე ჭკადუა - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში
17. გაბრიელა ქარდავა - საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში

საქართველოს კრივის ევროვნულ ნაკრებში 6 ზუგდიდელი გოგონაა მოწვეული:

თათია ბუკია
თამარ სამელია,
ნანა ცხვიტავა
ნანა ფიფია
რამინდა თოლორავა
მარიამ ქირია

რაგბის ქალთა კლუბი „ზუგდიდი“, რომლის 5 წევრი გოგონა ევროვნული ნაკრების წევრია:

მარიამ ბერაძე
ღიკა ხუფენია
თეკო შენგელია
ნინო გუგუჩია
ღიკა პერტაია

ზუგდიდის კალათბურთის გოგონათა გუნდი

14 წლამდე ასაკის გოგონები) მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ჩემპიონატში. ამ ეტაპისთვის 4 გოგონა შერჩეულია 14 წლამდელთა ეროვნულ ნაკრებში, ხოლო **16 წლამდელთა ევროვნულ ნაკრებში 2 წელიწადია ირიცხება ზუგდიდელი**

ნატალი ებრალიძე.

ზუგდიდში ფუნქციონირებს გოგონათა საფეხბურთო კლუბი „ფენიქსი“, რომელიც გამოდის საქართველოს ჩემპიონატის ქალთა მე-2 ლიგაში, სადაც ირიცხება 19 გოგონა. 2022 წელი გუნდმა დაამთავრა მე - 6 ადგილით.

საქართველოს მძლეოსნობის ევროვნული ნაკრების წევრი

ბელა ჭკადუა

ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი

2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღირიცხა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულები, გამოიკვეთა მათი საჭიროებები.

ევროკავშირისა და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია “People In Need” Georgia-ს მხარდაჭერით, 2017 წელს დაინერგა ახალი სერვისი „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულებისთვის მულტიდისციპლინური ჯგუფის სერვისის ადგილზე მიწოდებას; კერძოდ, საცხოვრებელი სახლისა და ეზოს მოწესრიგებას, პირად ჰიგიენაზე ზრუნვასა და ექიმის კონსულტაციას, ძალისმიერ სამუშაოებს(მოთიბვა, შეშის დახერხვა-დალაგება და სხვა), ინფორმაციის მიწოდებას, ფსიქო-ემოციური მხარდაჭერას და სხვა.

2022 წელს სერვისით ისარგებლა 130-მდე ხანდაზმულმა, რომელთა 95% ქალია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებს ყოველწლიურად უწევს ფინანსურ მხარდაჭერას.

დიაგრამაზე მოცემულია ფულადი მხარდაჭერის მიმღებთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში წლების მიხედვით:



ხანდაზმულთა დღის ცენტრი

2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საქველმოქმედო - ჰუმანიტარულ ცენტრ „თანაზიართან“ ერთად შეიქმნა - ხანდაზმულთა დღის ცენტრი, სადაც ხანდაზმულებს აქვთ შესაძლებლობა დაკავდნენ მათთვის საინტერესო ხელსაქმით, მუსიკით, მხატვრული შემოქმედებითა და სხვა გასართობი პროგრამებით. პერიოდულად იმართება მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ხანდაზმულთა დღის ცენტრი უზრუნველყოფს 20 ბენეფიციარის მიღებას, რომლთა უმრავლესობა ქალია.

ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №761

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით "

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. 2. ამ კანონის მიზნებისთვის ქალად მიიჩნევა აგრეთვე 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი."

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა:

საქართველოს მასშტაბით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია პირველია (2015 წლიდან), რომელმაც პროგრამულ ბიუჯეტში ასახა ძალადობის მსხვერპლთა საჭიროება და დანერგა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სოციალური დაცვის პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა ფულად დახმარებას 800 ლარამდე.

ძალადობის მსხვერპლებს, საჭიროების შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მუნიციპალური პროგრამით - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკაროდ დარჩენილი ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ოჯახების, ძალადობის მსხვერპლთა, სახლდამწვართა, მეწყერის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა, ზრუნვის სისტემიდან გასული, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის დახმარება ყოველთვიურად ბინის ქირის საფასურის გადახდა/თანაგადახდა 200 ლარის ოდენობით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, საჭიროების მიხედვით, შეუძლია ისარგებლოს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს 100-დან 500 ლარამდე ფულად დახმარებას.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, პროფესიული უნარ-ჩვევების მიღების და დასაქმების მიზნით, ჩართული არიან მერიის სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდასაჭერად წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლის" ერთობლივი პროექტია.

2023 წლიდან ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი იფუნქციონირებს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მხარდაჭერით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასოციაცია „მერკურის" მიერ დაფუძნდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - "ოჯახის ცენტრი სამეგრელოში". ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ცენტრის ფუნქციონირებას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს (წელიწადში 5000 ლარის ოდენობით). იხილეთ მომართვიანობა ცხრილის სახით (გვ23).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რომლის ფუნქციაა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობა და ოპერატიული რეაგირება. კომისია იხილავს, როგორც კონკრეტულ პრობლემურ შემთხვევებს, ასევე, ახდენს დაინტერესებული უწყებების საქმიანობების, სტატისტიკის ან მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება-გავრცელებას.

2022 წლიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახი" აქტიურად ხელს უწყობს სხვადასხვა მოწყვლადობის მქონე ქალებსა და გოგოებს, მათ შორის ძალადობის მსხვერპლებს პროფესიული გადამზადების, დასაქმებისა და საარსებო მინიმუმის გამომუშავების მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში, მუშაობს რეფერირების სისტემა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მერკური" - ოჯახის მხარდამჭერის ცენტრი
ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - მომართვიანობის დინამიკა - 2022წ

მომსახურება	ძალადობის მსხვერპლთა მომართვიანობის მთლიანი რაოდენობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მცხოვრები ძალადობის მსხვერპლთა მომართვიანობის მთლიანი რაოდენობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ან რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი																
			სქესი		ზეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	ფორმების მიხედვით		ერთზე მეტი ფორმის ძალადობა	თავისუფლების აღკვეთა სასჯელად გადაწყვეტილებით	ასაკის მიხედვით				ასაკობრივი ზღვარი	დასახელების მიხედვით		მოსახლეობა		
			მდედრ	მამრ		ფსიქოლოგიური	ფიზიკური			0-18	20-30	30-60	60+		ქალაქი	სოფელი	ადგილობრივი	დევნილი	უკრაინიდან ლტოლვილი
თავშესაფარი	31	10	16	15	1	28	10	10	3	19	5	7	0	58	7	24	22	9	0
ოჯახის მხარდამჭერის დღის ცენტრი	126	75	102	24	2	126	17	73	2	28	36	58	4	63	55	60	72	43	**11**
ჯამი:	**157**	**85**	**118**	**39**	**3**	**154**	**27**	**83**	**5**	**47**	**41**	**65**	**4**	**121**	**62**	**84**	**94**	**52**	**11**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ძალადობის მსხვერპლთა მომართვიანობის დინამიკა წლების მიხედვით



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ძალადობის მსხვერპლთა მომართვიანობა 2020-2022 წლების მიხედვით

წლების მიხედვით	ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა	სქესი		ზეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	სახეების მიხედვით			ასაკის მიხედვით			ასაკობრივი ზღვარი	დასახლების მიხედვით		მოსახლეობა	
		მდედრ	მამრ		ფსიქოლოგიური	ფიზიკური	ერთზე მეტი სახის ძალადობა	20-30	30-60	60+		ქალაქი	სოფელი	ადგილობრივი	დევნილი
2020	**25**	**24**	**1**	**0**	**17**	**6**	**5**	**7**	**13**	**5**	20-დან 82 წლამდე	**15**	**10**	**12**	**13**
2021	**22**	**21**	**1**	**1**	**14**	**5**	**3**	**7**	**13**	**2**	22-დან 66-წლამდე	**9**	**13**	**15**	**7**
2022	**26**	**26**	**0**	**0**	**26**	**7**	**7**	**8**	**17**	**1**	21-დან 67 წლამდე	**15**	**11**	**18**	**8**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია

2019 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით საქართველოში პირველად შეიქმნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან:

• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი/ვიცე-მერი - კომისიის თავმჯდომარე;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსი;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი - მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი;
• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
• სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის უფროსი;
• საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი;
• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის ტერიტორიული სამმართველოს წარმომადგენელი;
• სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი სამეგრელოში;
• არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი;
• ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის მენეჯერი;
• ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ხელმძღვანელი.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი გლობალური კამპანია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 2022 წლის 25 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით ჩაერთო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი გლობალური კამპანიაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამების ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები.

კამპანიაში ჩაერთო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, ვიცე-მერი, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭო.

16 დღიან კამპანიას, ასევე შეუერთდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის 53-ვე წარმომადგენელი. გაიმართა შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო - ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელთან, რომელმაც დამსწრეებს მიაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათ შორის სერვისის მიღების პროცედურებზე. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ე.წ. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან სათემო კავშირების წარმომადგენლები.

შეხვედრის ბოლოს, ადმინისტრაციულ ერთეულებში გავრცელების მიზნით, დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ შეხვედრებსა და კონფერენციებში.

გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის სხდომები. განთავსდა ოფიციალურ გვერდებზე კომისიის წევრთა პოსტერები.

არა!
ქალთა მიმართ ძალადობას!
ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საბოგადოებრივ თუ კერძად სახლთან ქალების მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც მოიცავს ან შეიძლება მოიცავს ქალებისთვის ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას ან ეკონომიკურ ზიანის მიყენებას, მათ შორის, ასეთი ქმედებების იძულებას, თავისუფალი ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.
არა!
ოჯახში ძალადობას!
ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.
არა!
ქალთა მიმართ ძალადობას!
სამთავრობო უწყებები
112 - საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაონული სამმართველო - პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. ჩადენილი დანაშაულის რეგისტრაცია. საგანძურიანი ანონიმურად დაფიქსირი ნებისა. ბენეფიციარებისა ოჯახური ძალადობის და ბულინგის ოჯახური ძალადობის ბავშვებსა-კონფლიქტი, მინიფონინგი;
116 006 - სსიპ სახელმწიფო ფრენსია და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საავადმყოფო მეურვეობა-მზრუნველობის და მზრუნველობის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი;
(99532) 2 20 02 20 - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის მიერ ბავშვთა დაცვის მიმართულების (ტელეფონურის) პროგრამებით გათვალისწინებული ეფექტურობისა და ეფექტიანობის ზედამხედველობა;
(032)2 51 00 26 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, მრავალი, განმრავლებულთა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის, აჭარისა და ვანის ტერიტორიული სამმართველო;
1481 - სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთში ეწევა ადამიანის მზრუნველობა ფეხფეხებისა და ოიცარსელების დაცვას, ავადმყოფ ადამიანს და ხელს უწყობს ეროვნულ ეფექტურობა ეფექტურობის ადგილას.
არასამთავრობო ორგანიზაციები
ასოციაცია "ზუგდური" - ოჯახის მზრუნველობის ცენტრი და ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარი. ტელ: 574 80 51 89
რეაბილიტაციისა და გაგვითარების საქალაქოშუმეფო ცენტრი "თანაზარი" - ადეკვატურება. ტელ: 0415 22 10 78
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
ბინა: ზუგდიდი, მ. რეხიაველის ქ.№90;
სოციალური დაცვის და ტრანსპორტი თანასწორობის განყოფილება
საკონტაქტო: 595 32 24 02 - ეკატერინა ბერიძე;
საინფორმაციო ბრიშურა გამოიცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის - "ეროვნული სიფრეგე" ერთობლივი პროექტის ფარგლებში: ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-სოციალურ-ეფექტიანობა სიფრეგე
ელექტრონული ფსიქოლოგია, ფსიქო-ფერმაპეკვენი, ტრენერი
ტელ: 593 33 13 09 - ნანა ფაღაია.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ-ეფექტიანობა ეფექტიანობა
ეფექტიანობა ეფექტიანობა
ეფექტიანობა ეფექტიანობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია შეუერთდა 16 დღიან კამპანიას:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახში" გაიმართა სხვადასხვა თემატური შეხვედრები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებული პროექტის - **"ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-სოციალური სივრცე"** შემაჯამებელი ღონისძიება.

შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახის" საინფორმაციო კონსულტანტებთან (მოხალისეები). მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები, რომელიც გაავრცელეს თავიანთ თემში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
უერთდება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის
16 დღიან გლობალურ კამპანიას!

სოციალურ ქსელში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და "ქალთა ოთახის" ოფიციალურ გვერდებზე განთავსდა კამპანიისადმი მიძღვნილი პოსტერები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე არსებულ მონიტორებზე განთავსდა გენდერული ძალადობის 16 დღიანი გლობალური კამპანიისთვის მომზადებული ვიდეო რგოლი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახი"

საქართველოს მასშტაბით, „ქალთა ოთახი" ფუნქციონირებს 33 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. განსხვავებული საჭიროებიდან გამომდინარე, კულტურული, რელიგიური, გეოგრაფიული და ეთნიკური ნიშნის გათვალისწინებით "ქალთა ოთახს" აქვს განსხვავებული ფუნქციები.

„ქალთა ოთახის" ვიზიტორებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ:

- კომპიუტერითა და ინტერნეტით;
- ბიბლიოთეკით;
- საბავშვო კუთხით;
- სივრცით, სხვადასხვა შეხვედრების მოსაწყობად;
- საკონსულტაციო სერვისით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა" 2022 წლის 8 მარტიდან დაიწყო ფუნქციონირება. "ქალთა ოთახმა" ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ქალებს და გოგოებს, მისცა შესაძლებლობა მიეღოთ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობა, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" ვიზიტორების მომართვიანობის მიზანი, ძირითადად, არის საარსებო წყაროების, დასაქმების და პროფესიული გადამზადების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ პროექტებზე ინფორმაციის მიღება და საპროექტო განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

1 წლის მანძილზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა" მიიღო 600-ზე მეტი ვიზიტორი, ხოლო, 200-მდე მოქალაქეს გაეწია ინდივიდუალური ონლაინ კონსულტაცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" ფუნქციები და მუშაობის მიმართულებები განისაზღვრა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე:

ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერება;

ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იმ ორგანიზაციების ბაზა, რომლებიც პერიოდულად აცხადებენ ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამებს.

პირველ ეტაპზე ხდება არსებული პროგრამის მიზნის და მეწარმის რესურსების შესაბამისობის ანალიზი, რის საფუძველზეც მოქალაქეს გაეწევა შესაბამისი კონსულტაცია საპროექტო წინადადების შემუშავებასთან დაკავშირებით;

სადღეისოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" მიერ 30-ზე მეტ ქალს გაეწია კომსულტაცია, საიდანაც 6-მა ქალმა მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერა ჯამში 28 500 ლარის ოდენობით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
ZUGDIDI MUNICIPALITY

Women's Room
ქალთა ოთახი

დასაქმების ხელშეწყობა;

"ქალთა ოთახის" ინდივიდუალური კონსულტაციების და ადგილობრივი ბაზრის კვლევის საფუძველზე, შექმნილია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა ბაზა, რომელიც განახლებადია ყოველდღიურ რეჟიმში.

ამ ეტაპზე სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში დარეგისტრირებულია 157 მოქალაქე, ხოლო, დამსაქმებელთა ბაზაში 45 პროვაიდერი (ბიზნეს სექტორი, სამოქალაქო სექტორი, მცირე და საშუალო მეწარმეები);

ამ კომპონენტში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ონლაინ პლატფორმას - **„დასაქმების ხელშეწყობა ზუგდიდში"**, სადაც გაწევრიანებულია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 6500-ზე მეტი პირი. ყოველდღიურ რეჟიმში, ჯგუფის დახმარებით, ვრცელდება ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული დასაქმების(ვაკანსია), დაფინანსების, პროფესიული გადამზადების რესურსებსა და ქალთა გაძლიერებაზე მიმართულ სხვა მიმდინარე პროექტებზე. ჯგუფში ასევე გაწევრიანებულია ბიზნეს სექტორის წარმომდგენლები(დამსაქმებელები), რომლებიც აზიარებენ მიმდინარე ვაკანსიებს და პირდა-პირი კომუნიკაცია აქვთ სამუშაოს მაძიებლებთან.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ ზუგდიდის ადგილობრივ შრომის ბაზარზე გამოიწვია დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების არსებობა. ამის საპასუხოდ, „ქალთა ოთახმა" ვიზიტორებს შესთავაზა მომსახურება - **"საკონსულტაციო საათი სამუშაოს მაძიებლებისთვის"**. კონსულტირების შედეგად, მოხდა დაინტერესებული პირების უნარების იდენტიფიცირება და მათი განვითარებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგ-ციკლის ორგანიზება/განხორციელება.

- "საკონსულტაციო საათით" ისარგებლა 157-მა ვიზიტორმა;
- საგანმანათლებლო ტრენინგებში ჩაერთო 77 მსურველი, რომელთათვისაც ინდივიდუალური კონსულტაციის შედეგად, შეიქმნა 77 რეზიუმე;
- გახსნის დღიდან, ამ და სხვა სერვისების შეთავაზების შედეგად, "ქალთა ოთახმა" სხვადასხვა სექტორში 72 მოქალაქე დაასაქმა

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების ჩართულობის გაზრდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგოების ჩართულობის გაზრდა. ამ მიზნის მისაღწევად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" სივრცეში დაიგეგმა სოფლად მცხოვრებ ქალებთან სამუშაო შეხვედრები და საინფორმაციო/საინიციატივო ჯგუფების შექმნა, რომლებიც გახდებიან თემში ქალების ხმა, დაეხმარება თემში მცხოვრებ მოსახლეობას არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში, მათ გადაჭრაში და გააზიარებს განახლებულ ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა რესურსზე (მუნიციპალური პროგრამები, განათლების განვითარების, ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული დასაქმების შესაძლებლობები და სხვა). ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახმა" 70მდე ვიზიტორი მიიღო. ხოლო, საინიციატივო ჯგუფში ჩართვის სურვილი გამოთქვა 35-მა მოხალისე ქალმა.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები, სადაც "ქალთა ოთახის" საინფორმაციო კონსულტანტებს (მოხალისეებს) მიეწოდათ ინფორმაცია, მუნიციპალურ პროგრამებზე; სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის პროგრამაზე; ჩაუტარდათ ტრენინგი პროექტების წერის საკითხებზე. ასევე, "ქალთა ოთახის" საინფორმაციო კონსულტანტები ჩაერთნენ პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან შემოთავაზებულ გასვლით ტრენინგებში. საინფორმაციო-კონსულტანტებს განახლებულ ინფორმაციას აწვდის ზუგდიდის „ქალთა ოთახი", რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სივრცით და აღჭურვილია საოფისე ტექნიკური რესურსით. ეს მუნიციპალური რესურსი საინფორმაციო/საინიციატივო ჯგუფის მუდმივ და გრძელვადიან მხარდაჭერას წარმოადგენს.

ქალთა ოთახის ვიზიტორების რეფერირება შესაბამის სამოქალაქო, საჯარო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან

კონსულტირების ეტაპზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და მოქალაქეების შესაბამის ორგანიზაციებთან/სამსახურებთან გადამისამართება (მუნი-ციპალური სერვისები; სამოქალაქო სექტორის მიმდინარე პროექტები და სხვა). „ქალთა ოთახის" მიერ შექმნილმა ბაზებმა ხელი შეუწყო ადგილზე მოსულ ვიზიტორებს, სწრაფად და გაფილტრულად მიეღოთ მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია. რაც გვეხმარება ქალების პროფესიულ გადამზადებაში, მათი სოციალური პრობლემების მოგვარებასა და დასაქმების ხელშეწყობაში.

1 წლის განმავლობაში, შესაბამის სამსახურებთან ჯამში რეფერირება გაეწია 137 მოქალაქეს. მათ შორის აღსანიშნავია მოწყვლადი ჯგუფის 8 ქალი, რომლებიც ჩაერთნენ სხვადასხვა პროფესიული გადამზადების პროგრამებში.

თანამშრომლობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახი" თანამშრომლობს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან. ამ კუთხით აღსანიშნავია 2022 წლის შემდეგი პროექტები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" და **მარიას სკოლის - Marias's School** ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 3-მა ქალმა წარმატებით დაასრულა 3 თვიანი, ინგლისური ენის, უფასო კურსი. გასაუბრების შედეგად, პროგრამაში ჩაერთნენ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ქალები. პროგრამის დასრულების შემდეგ, მათ გადაეცათ სწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით, 10 ქალი ჩაერთო ინგლისური ენის, უფასო სასწავლო პროგრამაში. პროგრამის დასრულების შემდეგ, გადაეცათ სწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი: **„ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-საგანმანათლებლო სივრცე"**, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა მოწყვლადობის ქალებს (ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად დაუცველი, დევნილი, მარტოხელა მშობელი და სხვა) ჩაუტარდათ სესიები შემდეგ თემებზე: ძალადობის სახეები, ძალადობის წარმოშობის მიზეზები, ოჯახში ძალადობა და ქალისა და ბავშვის მიმართ ძალადობის მოსალოდნელი შედეგები, ძალადობის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები, სახელმწიფო და არასამთავრობო სერვისები, საერთაშორისო გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის რესურსები ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, ქალთა გაძლიერების საკითხები: პოზიტიური მშობლობა და აღზრდის მეთოდები, თვითდაჯერებულობა და ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა;

ჯამში, პროექტით ისარგებლა 24-მა ქალმა.

ასევე, თანამშრომლობა შედგა **კერძო სექტორის** წარმომადგენლებთან: ფეხსაცმლების და აქსესუარების ქსელური მაღაზია; ტანსაცმლის ბრენდული მაღაზიათა ქსელი და სხვა.

საგანმანათლებლო ტრენინგები

- თემში მცხოვრები ქალებისთვის ჩატარდა 5 საინფორმაციო შეხვედრა - 125 მონაწილე;
- ტრენინგი - „გენდერულად მგრძნობიარე კომუნიკაციის ენა“ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის - 53 წარმომადგენელი;
- ტრენინგი „რეპროდუქციული ჯანმრთელობა“ საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისთვის - 24 მონაწილე.

„ქალთა ოთახის“ სტუმრები

ქალთა ოთახის საქმიანობით დაინტერესდა, როგორც საჯარო, ასევე, სამოქალაქო და კერძო სექტორი, რომელთაც “ქალთა ოთახმა” არაერთხელ უმასპინძლა:

- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია;
- საქართველოს ფსიქო-ონკოლოგიის საზოგადოების ბორდის წევრი;
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო საგენტო;
- UN Women Georgia ქალთა ეკონომიკური გაძლიერის პროგრამის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის (EUMM) ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო;
- ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში.
- ფოკუს ჯგუფი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - ზუგდიდი LAG; საერთაშორისო ორგანიზაცია - AAH;
- ასოციაცია “გვირილა” - “აივ დადებითი ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოში” კვლევის პირველადი შედეგების პრეზენტაცია.

გასვლითი შეხვედრები

ქალთა ოთახმა მონაწილეობა მიიღო: “სამეგრელოს მოხალისეობის რეგიონულ ფორუმზე”. მოხალისეობის რეგიონული ფორუმი 2022 გაიმართა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის “სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა” ფარგლებში, განათლებისა და დასაქმების ცენტრის (EDEC) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბის - “ათინათის” ორგანიზებით.

ლიკანში, USAID YES - Georgia ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის კომპონენტ #BuzzGeorgia / #ბაზსაქართველო ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგში. ტრენინგის მიზანი იყო, #BuzzGeorgia - რეგიონის ელჩების პიროვნული ზრდა, მოტივაციის, სამეწარმეო უნარ-ჩვევების და ფინანსური დაგეგმარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

სოციალური გვერდი

ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სოციალური ქსელი. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ საინფორმაციო გვერდი, სადაც გაწეული მუშაობის შესახებ აქტიურად იდება ინფორმაცია და ფოტო/ვიდეო მასალა.

ვრცელი ინფორმაციისთვის გადადით ბმულზე:

www.facebook.com/WomensroomZugdidi

შეიქმნა და გამოიცა საინფორმაციო ფლაერი, სადაც დატანილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ ძირითადი ფუნქციები და საკონტაქტო ინფორმაცია .

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N87

ელ-ფოსტა: womenfromzugdidi@gmail.com

ნინო გვაგვალია +995 557 70 72 74

თამარ ჩიქავა +995 555 65 00 50

„ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325-ის ლოკალიზაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უშიშროების საბჭოს მიერ 2000 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ იქნა რეზოლუცია N1325, რომელიც ადასტურებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ - ფარგლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკის“ განხორციელებას.

ანგარიშში წარმოდგენილია ის პროგრამები, სერვისები და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა და ახალგაზრდების საჭიროებების მოგვარებას.

ამასთან, ე.წ. გამყოფ ხაზთან მიმდებარე 9 ადმინისტრაციულ ერთეულში ყოველწლიურად ტარდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა და გოგონათა საჭიროებათა კვლევა, რომლის შედეგები აისახება მერიის შესაბამისი სამსახურების პროგრამებში.

წარმოგიდგენთ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების 2022 წლის სტატისტიკას გენდერულ ჭრილში:

სოციალური დაცვის პროგრამების 2022 წლის სტატისტიკა- კონფლიქტისპირა აღმ. ერთეული

ადმინისტრაციული ერთეული	მდედრ	მამრ	ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობა	გახარჯული თანხა
განმუხური	29	14	43	9000
ორსანტია	23	24	47	9262
კოკი	25	19	44	14000
ხურჩა	8	4	12	2512
შამგონა	27	16	43	8762
ახალაბასთუმანი	34	16	50	7587
რუხი	50	22	72	21931
რიყე	19	18	37	9062
ტყაია	12	7	19	4562
ჯამი	**227**	**140**	**367**	**86678**

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების 2022 წლის სტატისტიკა- 9 აღმ. ერთეული

ადმინისტრაციული ერთეული	მდედრ	მამრ	ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობა	გახარჯული თანხა
განმუხური	24	21	45	15491,31
ორსანტია	45	44	89	38159,97
კოკი	32	34	66	16624,01
ხურჩა	2	0	2	500
შამგონა	30	28	58	20829,36
ახალაბასთუმანი	33	24	57	13526,36
რუხი	54	58	112	30980,53
რიყე	32	22	54	18576
ტყაია	9	9	18	3895,61
ჯამი	**261**	**240**	**501**	**158583,15**

სახლების მშენებლობის სოციალური დაცვის პროგრამა

ადმინისტრაციული ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	ჯამი
განმუხური	-	-	1	1	-	1	-	-	**3**
ორსანტია	-	1	1	1	1	1	1	-	**6**
კოკი	-	3	1	1	1	-	-	-	**6**
ხურჩა	-	-	-	-	1	-	-	-	**1**
შამგონა	-	-	-	1	1	-	-	-	**2**
ახალაბასთუმანი	1	2	1	-	1	1	-	1	**7**
რუხი	-	-	-	-	-	1	1		**2**
რიყე	-	2	1	-	-	-	-	1	**4**
ტყაია	-	-	1	1	-	-	-	-	**2**
ჯამი:	**1**	**8**	**6**	**5**	**5**	**4**	**2**	**2**	**33**

გამყოფი ხაზის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები: მოასფალტირებულია სოფლის ქალაქთან დამაკავშირებელი გზა, მოწყობილია გარე განათებები, ხიდბოგირები და სანიღვრეები. ცხრავე სოფელი გაზიფიცირებულია. ხელისუფლებამ უზრუნველყო მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ ბუნებრივი აირის დაერთება. ყველა სოფელში მუშაობს დასუფთავების სამსახური. ყველა სოფელს ემსახურება ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემური საკითხების მოგვარება პასუხობს სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევებით იდენტიფიცირებულ საჭიროებებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში 2022 წელს განხორციელებული გენდერულად მგრძნობიარე პროექტები

ადმინისტრაციული ერთეული	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	დაფინანსების წყარო	ფონდი, საიდანაც დაფინანსდა პროექტი
განმუხური	განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზვ. გამსახურდიას ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობა	37 647,83	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც. დადიანის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია	770 793,00	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
ორსანტია	ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	23 914,72	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქიაჩელის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია	299 994,16	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
კოკი	კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობa	14 050,36	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
ხურჩა	"ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციულ შენობაში სპორტული დარბაზის მოწყობა"	8 125,75	სახელმწიფო ბიუჯეტი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
შამგონა	"შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ.გამსახურდიას ქუჩაზე გარე განათების მოწყობა"	17 953,87	სახელმწიფო ბიუჯეტი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	შამგონაში ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარე	3 655 652,01	აზიის განვითარების ბანკი	მუნიციპალური განვითარების ფონდი
ახალაბასთუმანი	ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, I, II, IV, და VI უბნებში ჭაბურღილის მოწყობა	36 148,49	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალაბასთუმანი-რუხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	3 399 302,86	მსოფლიო ბანკი	მუნიციპალური განვითარების ფონდი
რუხი	"რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, საქართველოს და ღურნკაიას ქუჩების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა"	16 723,97	სახელმწიფო ბიუჯეტი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
	რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	400 000,00	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი
	რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა - მიმდინარე	4 228 637,47	აზიის განვითარების ბანკი	მუნიციპალური განვითარების ფონდი
რიყე	რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, N3 სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები	27 318,45	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
ტყაია	ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქობავას ქუჩაზე გარეგანათების მოწყობა	18 975,07	სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

როცა ვსაუბრობთ ქალების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებზე ნიშანდობლივია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ავსტრიის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით საინიციატივო ჯგუფმა “ნდობა მშვიდობისთვის” 2019 წელს დააფუძნა **ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემია**.

ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემია არის პირველი ჯილდო საქართველოში მშვიდობის დარგში, რომელიც ყოველწლიურად ზუგდიდში - მშვიდობის ქალაქში გაიცემა.

ღონისძიების მიზანია: მშვიდობის მშენებლობისა და განმტკიცების პროცესში ჩართული აქტივისტების საქმიანობის დაფასება, საზოგადოებაში სამშვიდობო ხედვების აქტუალიზება და ნდობის მშენებლობის საქმეში წახალისება.

მოქალაქეთა ჩართულობა

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალთა ჩართულობას ადგილობრივი საჭიროებების გამოკვეთაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ უფლება, ჩაერთონ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და განახორციელონ პროექტები თავიანთი საჭიროებების მოგვარებისთვის.

2019 წლიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანია მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა, პროცესის გამჭვირვალობა და ინკლუზიური მიდგომა. პროგრამის დაწყებამდე ხდება მოსახლეობის ინფორმირება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების, მერის წარმომადგენლების, საკრებულოს მაჟორიტარი წევრების, დასახლების საერთო კრების რჩეულისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

შერჩეული პროექტების რაოდენობა წლების მიხედვით:



ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობა

როგორც ზემოაღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში 2021 წელთან შედარებით 2022 წელს ქალთა დასწრების მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა, ინიციატორთა რაოდენობა 16%ით ნაკლებია, ხოლო, ქალთა მიერ ინიცირებული გამარჯვებული პროექტების რაოდენობა 11%-ით მეტია.

ქალთა საჭიროებების გასათვალისწინებლად, აუცილებელია მათივე გააქტიურება და ჩართულობა ადგილობრივ პროცესებში, გადაწყვეტილების მიღებისა და ინიცირების საკითხებში.

ამ მიმართულებით 48-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად არის ჩასატარებელი ქმედითი ღონისძიებები.

2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის კრებები;

N	ადმინისტრაციული ერთეული	დამსწრეთა რაოდენობა			ინიციატორთა რაოდენობა			გამარჯვებული ინიციატორების რაოდენობა		
		მამრ.	მდედრ.	ჯამი	მამრ.	მდედრ.	ჯამი	მამრ.	მდედრ.	ჯამი
1	აბასთუმანი	62	51	113	1	4	5	1	0	1
2	ალერტკარი	70	32	102	2	1	3	1	0	1
3	ანაკლია	116	95	211	3	1	4	0	2	2
4	ახალაბასთუმანი	138	75	213	2	1	3	1	0	1
5	ახალკახათი	149	54	203	3	0	3	1	0	1
6	ახალსოფელი	53	49	102	3	0	3	1	0	1
7	ბაში	65	14	79	3	0	3	1	0	1
8	განმუხური	173	30	203	3	0	3	1	0	1
9	დავითიანი	59	45	104	4	0	4	1	0	1
10	დარჩელი	146	67	213	3	1	4	0	1	1
11	დიდინეძი	53	79	132	5	2	7	3	3	6
12	დიდინეძის კახათი	50	19	69	1	2	3	1	0	1
13	ერგეტა	76	39	115	4	0	4	1	0	1
14	ზედაეწერი	123	93	216	2	1	3	1	1	2
15	ინგირი	144	66	210	2	1	3	1	0	1
16	კახათი	136	79	215	2	1	3	0	1	1
17	კიროვი	140	65	205	2	1	3	1	0	1
18	კოკი	166	38	204	3	0	3	1	0	1
19	კორცხელი	118	85	203	3	0	3	1	0	1
20	ნარაზენი	123	111	234	2	2	4	1	1	2
21	ნაცატუ	63	39	102	3	0	3	1	0	1
22	ნაწულუკუ	137	81	218	3	1	4	1	0	1
23	ოდიში	102	69	171	6	0	6	2	0	2
24	ოირემე	114	88	202	1	1	2	0	1	1
25	ორსანტია	124	84	208	2	1	3	0	1	1
26	ორულუ	166	32	198	5	1	6	2	1	3
27	ოფაჩხაფუ	41	37	78	3	0	3	1	0	1
28	ოქტომბერი	154	60	214	3	0	3	1	0	1
29	რიყე	163	41	204	2	0	2	1	0	1
30	რუხი	167	71	238	2	1	3	1	0	1
31	ტყაია	64	45	109	1	2	3	0	1	1
32	ურთა	64	44	108	3	0	3	1	0	1
33	უჩაშონა	127	82	209	5	0	5	1	0	1
34	ყულიშკარი	132	79	211	3	0	3	1	0	1
35	შამადელა	125	85	210	2	1	3	1	0	1
36	შამგონა	141	60	201	3	0	3	1	0	1
37	ჩხორია	124	80	204	3	0	3	1	0	1
38	ჩხოუში	145	58	203	1	2	3	0	1	1
39	ცაიში	160	125	285	2	2	4	2	0	2
40	ცაცხვი	60	54	114	2	2	4	1	1	2
41	ცვანე	77	31	108	3	0	3	1	0	1
42	ქაქვინჯი	175	76	251	3	1	4	2	0	2
43	ქითაწყარი	153	59	212	2	1	3	1	0	1
44	ქკადუაში	136	74	210	3	0	3	1	0	1
45	ხეცერა	84	16	100	3	0	3	1	0	1
46	ხურჩა	38	5	43	1	2	3	1	0	1
47	ჯიხაშკარი	152	92	244	5	0	5	2	0	2
48	ჯუმი	123	81	204	2	2	4	0	1	1
ჯამი:		5471	2934	8405	130	38	168	47	16	63

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად:

„ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“

აქედან გამომდინარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას იყვნენ ჩართულები, მიიღონ აქტიური მონაწილეობა, როგორც მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის, ასევე მონიტორინგის მიმართულებით.

ზუგდიდში ხორციელდება 50-ზე მეტი სოციალური დაცვის პროგრამა, თუმცა თვითმმართველობა ყველა გამოწვევას, რა თქმა უნდა, ვერ პასუხობს. აქედან გამომდინარე, შეიქმნა სპეციალური პროგრამა, სადაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ინიციატივა შესთავაზონ ადგილობრივ თვითმმართველობას შემდეგი პროგრამის: „სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“ ფარგლებში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აქტიურად ოპერირებენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები. ხშირ შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების პირდაპირი მოთხოვნაა არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერა (მერის მხარდაჭერის წერილი ან ფულადი თანამონაწიელობა). რაც განაპირობებს ადგლობრივი სამოქალაქოსექტორის მონდომებას ითანამშრომლონ თვითმმართველობასთან და ჩაერთონ მუნი-ციპალური სოციალური პროგრამების/სერვისების დაგეგმვაში.

2021 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამიდან დაფინანსდა 7 პროექტი.

ცხრილში მოცემულია 2022 წელს თანადაფინანასებული პროექტების მოსარგებლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში:

N	განმცხადებელი	საპროექტო წინადადება	პროექტით ისარგებლა		
			სულ:	მდ.	მამრ
1	ა(ა)იპ "ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის"	"ახალგაზრდების როლი სოციალურ მეწარმეობაში"	25	15	10
2	საქართველოს უსინათლოთა კავშირი	ზუგდიდში მცხოვრებ შშმ პირთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაჯანსაღება	20	12	8
3	კავშირი "ნერგები"	გარდავქმნათ სივრცე შესაძლებლობად	30	7	23
4	ასოციაცია "მერკური"	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	30	22	8
5	რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი - "თანაზიარი"	საგანმანათლებლო სერვისები სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის	106	56	50
6	ა(ა)იპ "პროგრესული სივრცე"	ქალთა საინფორმაციო და ფსიქო-საგანმანათლებლო სივრცე	24	24	0
7	ა(ა)იპ "ქალთა სექტორი"	ქალთა ფსიქო-სოციალური და პროფესიული მდგრადობა	12	12	0
		ჯამი:	**247**	**148**	**99**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აქტიურად არიან ჩართულები სამოქალაქო სექტორის მიერ დაგეგმილ პროექტებში, მათ შორის გენდერული თანასწორობის, ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

საჯარო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო და კერძო სექტორთან ერთად, არიან ჩართულები **ზუგდიდის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (ზუგდიდიLAG)** საქმიანობაში, რომელიც ჩამოყალიბდა Action Against Hunger South Caucasus და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით. 2022 წელს განხორციელდა საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებში 80 განმცხადებლიდან 46-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა; ხოლო, დაფინანსებული 30 პროექტიდან 21 ქალების მიერ იყო ინიცირებული. ზუგდიდი ლაგის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქალთა თანამონაწილეობა და აქტიური ჩართულობა ზუგდიდის განვითარების პროცესში.

2022 წელს მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ტრენინგებსა თუ შეხვდრებში.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების და მერიის სხვა სამსახურების ჩართულობა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე.

თარიღი	ორგანიზაცია	ტრენინგი/შეხვედრა/საინფორმაციო შეხვედრა	დამსწრეთა რაოდენობა	I-II რანგი	სპეციალისტი
28.01.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იგპ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საინფორმაციო შეხვედრა COVID-19-თან დაკავშირებული სამთავრობო პროგრამების/სერვისების გაცნობა	9	3	6
16.02.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია "დეა"	სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა წალენჯიხის, ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში (ონლაინ)	7	4	3
17.02.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 ლოკალიზაცია საქართველოში სამუშაო შეხვედრა (ონლაინ)	7	6	1
15.02.	ქალთა ფონდი "სოხუმი"	ონლაინ ფორმატში მრგვალი მაგიდა - "ადგილობრივ დონეზე ქალთა/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობა"	3	1	2
15-16.02.	CRRC-საქართველო, USAID-ის დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა საქართველოში, მაკ ჯორჯია (MAC Georgia), კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (CIL)	ონლაინ სამუშაო შეხვედრა "მონაცემების გამოყენება საჯარო პოლიტიკის დაგეგმვაში"	6	3	3
11.03.	იგპ ასოციაცია "თანხმობა"	სოფლის განვითარების პროგრამის არსის გაცნობა - ტრენინგ-სემინარი სოფლის აქტიურ/ლიდერ ქალებთან	4	2	2
11.03.	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა)	მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვაში (ონლაინ)	3	3	0
24.03.	გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან სამეგრელოს რეგიონში	5	4	1
24.03.	ქალთა ფონდი "სოხუმი"	თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები და მერის წარმომადგენლების როლი; ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის მიღწევის, ოჯახში ძალადობის პრევენციის და რეაგირების საკითხები და სხვა. (ონლაინ)	10	8	2
04.03.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი ლოკალიზაცია-სამუშაო შეხვედრა (ონლაინ)	3	3	0
31.03.	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა)	სოციალური პოლიტიკის სფეროში საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნული კონფერენცია	2	2	0
31.03.	ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი	მუნიციპალური სოციალური პროგრამების კომისიის წევრი-კანდიდატების შერჩევა	3	2	1
14.04.	ქალთა ფონდი "სოხუმი"	კონფლიქტების მართვა და ძალადობის პრევენცია (ონლაინ)	3	3	0
19-20.04.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 ლოკალიზაცია საქართველოში სამუშაო შეხვედრა	1	1	0
29.04.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (KVINFO, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო)	პროექტი სგაცნობა - ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში (ონლაინ)	2	2	0
04.05.	გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ფონდი ტასო, ფონდი ნეფა	პროექტის ფარგლებში - "კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის"	1	1	0
05.05.	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი NDI	კონსულტაცია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებისთვის (ონლაინ)	1	1	0
13.05.	ასოციაცია "მერკური"	სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ონლაინ შეხვედრა	2	2	0
06.05.	საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, საქართველოს დახმარების კომიტეტი, ასოციაცია - მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია	შეხვედრა პროექტის ფარგლებში - საქართველოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა"	3	3	0
7-8-9.05.	ქალთა ფონდი "სოხუმი"	ტრენინგი - ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობა ადგილობრივ დონეზე	2	2	0
18.05.	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა (UNHCR)	კონფერენცია - საქართველოში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლის შესახებ საქართველოში ლტოლვილთა ინტეგრაცია/ინკლუზიაში	1	0	1
16-23.05.	SOS ბავშვთა სოფელი	ტრენინგი - კაცებისა და ბიჭების გაძლიერება	3	3	0
19.05.	ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი"	საინფორმაციო შეხვედრა ქალთა და გოგონათა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა და გენდერული საკითხების მიმართულებით.	1	1	0
24.05.	გერმანიის თანამშრომლობა GIZ	GGLD-სა და ქართველ პარტნიორებს შორის ინფორმაციის გაცვლა თანამშრომლობის შერჩეულ სფეროებთან დაკავშირებით	1	1	0
17.06.	ა/ო "რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი"	ონლაინ შეხვედრა პერსონალური ასისტენტის სერვისის გზამკვლევის შემუშავება.	3	3	0
24.05.	გერმანიის თანამშრომლობა GIZ	ღონისძიება პროექტის "კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის" მიღწეული შედეგების შესახებ	1	1	0
15.06.	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში	1	1	0
22-23.06.	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)	ვორქშოფი - გენდერული თანასწორობისა და საზიანო პრაქტიკების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემების გაზიარება, ეროვნული პრიორიტეტების გაცნობა და აღნიშნულის ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში ინტეგრირების ხელშეწყობა.	3	3	0

24.06.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია "დეა"	სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა წალენჯიხის, ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	5	4	1
24.06.	საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)	ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები და მათი გადაჭრის გზები (ონლაინ)	2	1	1
30.06-01.07.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	SDG ადგილობრივ დონეზე დანერგვა და მონიტორინგი	4	1	3
04.07.	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი	შეხვედრა უკრაინელ ლტოლვილებთან	1	1	0
05.7.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (KVINFO, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო)	კვლევის - "ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში უფლებამოსილი ქალების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ქალი პოლიტიკოსების ინიციატივების შესწავლისა და მათი საქმიანობის წარმოჩენის გზით" ინტერვიუ	3	3	0
28.07.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (GIZ მხარდაჭერით)	შერჩეულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი და ხელშეწყობა	2	2	0
24.08.	ასოციაცია "მერკური"	პროექტის "ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში" გახსნის პრეზენტაცია	3	2	1
09.09.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	5 მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უწყებათაშორისი კომისიის წევრებთან შეხვედრა	6	2	4
15-17.09.	სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია	გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკა-ტრენინგი	5	3	2
28.09.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ქალები და ახალგაზრდები - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისათვის" (ონლაინ)	2	1	1
21.09.	ქალთა ფონდი "სოხუმი", იგპ ქალთა ასოციაცია "თანხმობა", ქალთა საინფორმაციო ცენტრი	"ქალები და ახალგაზრდები - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების" დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისათვის" ("ერთი ფანჯრის" მეთოდი)	3	2	1
22.09.	საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	გენდერული თანასწორობის საკითებზე მომუშავე პირთა კონკურსის დაჯილდოების ცერემონია	1	1	0
9-10. 11.	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)	სათემო ლიდერთა ფორუმი	1	1	0
11-13. 10.	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	საცხოვრისის სერვისების განხორციელება საქართველოში შშმ პირთა უფლებების ჭრილში	2	2	0
18.10.	ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	გაერთიანებული საკოორდინაციო შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის	24	19	5
21.10.	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	უსახლკარო და ხანდაზმულ პირთა უფლებებთან, სათანადო კვების უფლებასა და ეკომიგრანტებთან დაკავშირებით	1	1	0
26-28. 10.	ევროპის ფონდი	ტრენინგი - სამოქალაქო ბიუჯეტის მონიტორინგი და ბიუჯეტის ადვოკატირება	1	1	0
31.10.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (GIZ მხარდაჭერით)	გენდერული თანასწორობის ინტეგრირება და გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში - 10 მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობა და კარგი პრაქტიკების გაზიარება	1	1	0
9-12. 11.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება ეროვნული სამოქმედო გეგმა და გუს რეზოლუცია 1325-ის ლოკალიზაციის ეფექტიანი განხორციელება	3	2	1
15.11.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (KVINFO, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო)	ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში სამუშაო შეხვედრა (ონლაინ)	3	2	1
24.10.	ქალთა ფონდი "სოხუმი"	ფემიციდი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოვლინება (ონლაინ)	2	2	0
3.11.	სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრი "თანადგომა"	რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის ეროვნული საკომუნიკაციო გეგმა	16	11	5
21-22. 11.	იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა", ქეა კავკასია	"ახალგაზრდების ხმა მშვიდობისათვის"	4	4	0
25.11.	იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა", ქეა კავკასია	"ახალგაზრდების ხმა მშვიდობისათვის"	3	2	1
14.12.	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა)	გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პროგრესი ადგილობრივ დონეზე	1	1	0
8.12.	იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"	ფორუმი "ერთად დავამარცხოთ ძალადობა"	3	1	2
16.12.	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (ათეა)	საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (Best Practice Program) კონკურსის დაჯილდოების ცერემონია	6	5	1
28-29. 11.	საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ ODHIR)	პროექტის "CHANGE" ფარგლებში - უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვის სექტორის ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებისათვის	1	1	0
23.12.	მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი(CPCD), შვეიცარიული საერთაშორისო ფონდი HEKS EPPER	კონფლიქტები საქართველოში, შექმნილი რეალობა და პერსპექტივები	3	2	1
28.12.	ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის	მოქალაქეთა თანასწორი მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობაში	7	4	3
28.12.	SOS ბავშვთა სოფელი	პროექტის "გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში" მონაწილე ბავშვებისა და მათი მშობლების მიერ ხელთნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა	4	2	2
		ჯამი:	**214**	**156**	**58**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
2022 წლის ზოგადი სტატისტიკური მონაცემები



2022 წელს დაბადებულ პირთა რაოდენობა, რომელთა ბოლო მისამართზე რეგისტრაციის ადგილი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, შეადგენს 693 პირს (მდედრობითი 319, მამრობითი 374);
გარდაცვლილთა რაოდენობა კი - 1233 (მდედრობითი 582, მამრობითი 651)



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკა (სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის 2022 წლის მონაცემები) დაფიქსირებულია განქორწინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (57,7%), რაც ასევე ახდენს გავლენას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, იზრდება მზრუნველობის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა.



2022 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სხვა მუნიციპალიტეტში/თვითმმართველ ქალაქში რეგისტრირებულთა რაოდენობა შეადგენს 440 პირს, ხოლო, სხვა მუნიციპალიტეტიდან/თვითმმართველი ქალაქიდან რეგისტრირებულთა რაოდენობა - 197. როგორც დიაგრამიდან ირკვევა 2022 წელს 45,8%-ით მეტი მოქალაქე (243) გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტში/ქალაქში, ვიდრე გადმოვიდა საცხოვრებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ტერიტორიული ორგანოს - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 1042 პრობაციონერი,
საიდანაც 968 არის კაცი, ხოლო 74 - ქალი. ინფორმაცია ცხრილის სახით:

სქესი	მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	თავისუფლების აღკვეთის შემდომი პირობითი მსჯავრი	საერთო რაოდენობა
კაცი	824	144	968
ქალი	73	1	74
ჯამი	897	145	1042

სტატისტიკური ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „საარსებო შემწეობისა“ და სხვადასხვა სახის სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა შესახებ გენდერულ ჭრილში
(2023წ. იანვრის თვის მდგომარეობით)

ბენეფიტის სახეობა	სქესი				სულ
	მამრ		მდედრ		
სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა	2 630	32%	5 598	68%	8 228
საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა	10 066	43,9%	12 885	56,1%	22 951
საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიბენეფიფიტის მიმღებ პირთა რაოდენობა, რომლებსაც 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი	1 938	46,8%	2 203	53,2%	4 141
შშმპ სტატუსის საფუძვლით სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა	2 422	65,7%	1 262	34,3%	3 684
შშმპ სტატუსის საფუძვლით სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირთა რაოდენობა	35	97,2%	1	2,8%	36

2022 წლის მონაცემები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ქსელში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების შესახებ გენდერულ ჭრილში

საბიუჯეტო ქსელის მხარჯავი სუბიექტი	სულ დასაქმებული	მათ შორის		% ქალი	სულ თვიური ხელფასის ფონდი ათას ლარებში	მათ შორის		% ქალი	სულ ერთი მუშაკის საშ. თვიური ანაზღაურება	მათ შორის		საშუალო თვიური ანაზღაურების სხვაობა ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში
		ქალი	კაცი			ქალებზე ათას ლარებში	კაცებზე ათას ლარებში			ქალი	კაცი	
შტატით	2950	1752	1198	59,4	2132	1111,9	1020,1	52,2	723	635	852	-217
შტატგარეშე	139	75	64	54,0	101	50,2	50,8	49,7	727	669	794	-124
ჯამი:	3089	1827	1262	59,1	2233	1162,1	1070,9	52,0	725	1304	1645	-341

სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების/უწყებების მიერ სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული ზოგადი სტატისტიკური მონაცემების პერიოდული გაცნობა/ანალიზი მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვაში, რათა შევძლოთ არსებული მდგომარეობის შესწავლა, პრობლემური საკითხების გამოვლენა და მასზე მორგებული პროექტების შექმნა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალური და ჯანდაცვის, გენდერული თანასწორობის, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობისას სწორედ წინა წლების სტატისტიკური მონაცემების დინამიკაზე, ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილ საკითხებზე დაყრდნობით აანალიზებს და ნერგავს სხვადასხვა პროგრამებს, პროექტებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭო 2018 წლიდან შეიქმნა. საბჭოს წევრები არიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, სამოქალაქო

და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული.

ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავდა 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

სტრატეგიის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:

1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება;
2. საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა; ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;

2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა **ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2023 - 2024 წლების სამოქმედო გეგმა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ - ფარგლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა“**, რომლის ძირითადი ამოცანებია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება, მუშაობის გააქტიურება და ცნობადობის ამაღლება;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ნორმატიული აქტების ანალიზი და წინადადებების შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემუშავება;
- გენდერზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის მიმართულებების დანერგვა-განხორციელება;
- არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტში;
- ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;
- მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების მიწოდება;
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
- გენდერული მონიტორინგის განხორციელება;
- ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ინიცირებული საკითხების შესწავლა/ ადვოკატირება;
- მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან თანამშრომლობის გაძლიერება.
- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობა და კულტურული ღონისძიებების ჩატარება
- იგპ და გამყოფ ხაზთან მცხოვრები ქალებისა და გოგოების ინტერესების ასახვა სტრატეგიულ დოკუმენტებში
- დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების (მათ შორის შშმ პირები) და ახალგაზრდების (მათ შორის შშმ პირები) მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა კონფლიქტის პრევენციის, მართვის და გადაჭრის საკითხებზე;
- ცნობიერების ამაღლება ე.წ. გამყოფ ხაზთან მიმდებარე სოფლებში და დევნილთა თემებში ძალადობის ყველა ფორმის შესახებ, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების ბენეფიციარების სოციალური ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივების მხარდაჭერა რეფერირების მექანიზმის სუბიექტების თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების და დევნილთა თემებში საჯარო სერვისებზე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გამყოფ ხაზზე მიმდებარე სოფლების და დევნილთა თემებში მცხოვრებთა (მათ შორის შშმ პირები) სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს თვითშეფასება გენდერული მიმართულების კომპონენტების გათვალისწინებით;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომ წლებშიც გააგრძელებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკისა და მონაცემების წლიური ანგარიშის შექმნას.

ზუგდიდი - წარმატებული პრაქტიკა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გამოირჩევა სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის ინოვაციური პროგრამებით.

მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და მადლობის სიგელი, როგორც სამთავრობო, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

აღსანიშნავია, გადაწყვეტილების მიმღები პირების მხარდაჭერა, სამსახურის მზარდი ბიუჯეტი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომელიც იძლევა ახალი პროგრამების, სერვისების დანერგვის შესაძლებლობას.

ინოვაციური პროგრამები/პროექტები:

2015 წელი:

უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებში 700-ზე მეტ მოქალაქეს, მათ შორის 350-მდე ბავშვს აქვს ღირსეული საცხოვრებელი პიროებები

2016 წელს აღნიშულმა პროგრამამ მიიღო სპეციალური ჯილდო.

2015 წელი:

სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა აძლევს შესაძლებლობას სამოქალაქო სექტორის მიერ ინიცირებულ იქნას პროექტი, რომელიც მიმართულია სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მხარდასაჭერად. პროგრამის ფარგლებში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის კონკურსში გაგზავნილი განაცხადი - **სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ზუგდიდის მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და სერვისების განვითარებაში, დასახელდა საუკეთესო მუნიციპალურ პროგრამად**.

2017 წელი:

ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი - 2019 წელს ათეას (NALAG) მიერ დასახელდა, როგორც საუკეთესო მუნიციპალური პროგრამა.

აღნიშნული მომსახურების დანერგვის შესახებ სისტემატიურად ხდება ინფორმაციის გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის. რომლის შედეგად რამოდენიმე მუნიციპალიტეტმა უკვე დანერგა აღნიშნული სერვისი.

2019 წელი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის სქემის შემუშავება.

2021 წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დასახელდა საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის (BPP) კონკურსში, მიიღო უმაღლესი შეფასება (100/100) და გადაეცა ჯილდო პროექტისთვის: **„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია“**

2022 წელი:

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG)

ერთობლივი პროექტის - ,,საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვებზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ჩაერთო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევაში. აღნიშნული პროექტი დასახელდა, როგორც საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკა;

2022 წელი:

საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა და განვითარების პრო-ექტებისთვის საერთაშორისო დაფინანსების მოძიების წარმატებული გამოცდილების ნომინაციაში საუკეთესო პრაქტიკად დასახელდა ზუგდიდის კულტურის განვითრების სტრატეგია: ზუგდიდი ხელოვნების, რეწვისა და გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი;

2022 წელი:

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობის მიმართულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამამ ასევე მოიპოვა საუკეთესო მუნიციპალური პროგრამის სტატუსი;

2022 წელი:

საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ პირველად გაიმართა საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითებზე მომუშავე პირთა კონკურსი, სადაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ წარდგენილ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის - გოგი რევიას კანდიდატურა, რომელიც დაჯილდოვდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის, მიენიჭა გენდერის ჩემპიონის სტატუსი და გადაეცა სპეციალური ჯილდო.

“შევეცადეთ გენდერული თანასწორობის მიმართულებით მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები შეგვეკრიბა, რომელიც ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული საკითხების ანგარიშის შედგენა 2020 წლიდან ხორციელდება, რომელსაც წლიდან წლამდე ემატება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გავლენას ახდენს გენდერული თანასწორობის საკითხებზე.“

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; გენდერული თანაწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი; გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის წევრი - **გოგი რევია;***

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის წევრი და მდივანი - **თამარ ჩიქავა.***

გამოყენებული ინფორმაციის წყარო:

- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა სამსახური;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური;*
- *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი;*
- *შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველო;*
- *სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;*
- *ააიპ "სკოლამდელ საალმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"*
- *ააიპ "სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის"*
- *ასოციაცია "მერკური"*
- *ზუგდიდის ახალგაზრდული სათათბირო*

ანგარიში გამოცემულია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების

მხარდაჭერის სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში

ვებგვერდი: **www.zugdidi.gov.ge**

ელფოსტა: **info@zugdidi.gov.ge**

მისამართი: *საქართველო, ზუგდიდი,*

შ. რუსთაველის ქ. N90

დიზაინი*: თამარ ჩიქავა*

2023წ.

ვფიგუსირდეთ მიზეზებზე
და
ერთად ვიზრუნოთ პრევენციაზე!

გავერთიანდეთ და დავასრულოთ
გოგონათა და ქალთა მიმართ ძალადობა!"

ძალადობა გაუმართლებელია
და
წარმოადგენს დანაშაულს!

შენ მარწმო არ ხარ!

ყველამ ერთად ვუთხრათ
არა
გენდერულ ძალადობას!